ს.ს.ი.პ. ვახტანგ ჯაოშვილის სახელობის
ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ
ნიგოზეთის საჯარო სკოლა

სატენდერო დოკუმენტაცია

სსიპ ვახტანგ ჯაოშვილის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნიგოზეთის საჯარო სკოლის მიმდინარე შეკეთების სახელმწიფო შესყიდვა (CPV-45400000);

ერთეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

ჭიათურა

2016 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. ტექნიკური დოკუმენტაცია, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები და აღწერილობა
3. დამატებითი ინფორმაცია
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
5. დანართი N1 - რეკვიზიტები
6. დანართი N2 - ინფორმაცია საგარანტიო ვადების შესახებ
7. დანართი N3 - ფასების ცხრილი
8. სამუშაოს შესრულების გეგმა გრაფიკი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3. ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6. იმ შემთხვევაში თუ სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული იქნება სასაქონლო ნიშანი, მოდელი, პატენტი ან მწარმოებელი კომპანია, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ტერმინები გამოყენებული არის „მსგავსისა“ და „ექვივალენტურის“ მნიშვნელობით და პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მსგავსი ან ექვივალენტური მახასიათებლების მქონესაქონელი/მომსახურება.

1.7. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.

1.8. ვინაიდან პრეტენდენტებისათვის სატენდერო წინადადების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში-ლარში, ხელშეკრულება გაფორმდება ლარში. შესაბამისად ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია და ავანსის გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში- ლარში.

1.9. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

1.10. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. სატენდერო წინადადების ფასი;

2.2. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.3. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

2.4. პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ით ან მეტით სხვაობის შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული საქონლის საბაზრო ღირებულებისაგან მკვეთრი განსხვავებისას, პრეტენდენტმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად მიწოდების შესაძლებლობა. აღნიშნულის თაობაზე პრეტენდენტი ვალდებულია 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა, რომელიც გაცემული უნდა იყოს დამოუკიდებელი სერთიფიცირებული აუდიტორის მიერ.

3. ანგარიშსწორების პირობები:

3.1. სატენდერო წინადადების სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 14265 ლარს (დღგ-ს გარეშე).

3.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

3.3. ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

3.4. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს **სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ**. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს. საექსპერტო მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება ფაქტიურად გადახდილი თანხის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილების დანართი N1-ის 137-ე პუნქტით დადგენილი ტარიფის ზღვრული ოდენობისა. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით.

3.4. დამატებითი ინფორმაცია:

- სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის" მეშვეობით, ან/და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. მის: ჭიათურა, სოფელი ნიგოზეთი; სატენდერო პროცედურების შესახებ მერი პაპიძე _; **599 20 20 69**

4. შესყიდვის ობიექტის ტექმიკური პარამეტრები

4.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები იხილეთ დანერთი #3 ფასების ცხრილი

5. აუცილებელი პირობა:

5.1. შემოთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, ასევე ტრანსპორტირების ხარჯებს. ხარჯები, რომლებიც არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. ფასი მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გარეშე;

5.2.ჩატარებული სარემონტო სამუშაოები უნდა აკმაყოფილებდეს აუცილებელ მოთხოვნებს.

5.3.ჩატარებული სარემონტო სამუშაოებზე უნდა ვრცელდებოდეს მინიმუმ 4 (ოთხი) - წლიანი გარანტია, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრა;

5.4. საგარანტიო მომსახურება უნდა მოიცავდეს შემდეგ პირობას: ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით ადგილზე უნდა აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი/წუნი, ასეთი ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ხარვეზი გამოწვეულია მექანიკური დაზიანებით ან ბუნებრივი ცვეთით;

5.5. **ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს 2014 წლის 1 იანვრიდან მოცემულ ტენდერში წინადადებების მიღების დასრულების დღემდე შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 40 000 ლარის ღირებულების სახის სამუშაოები. აღნიშნულის დასტურად, პრეტენდენტმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს საბოლოო ან შუალედური მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი**.

5.6. შემსყიდველის აუცილებელი მოთხოვნაა, სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენამდე ადგილზე მისვლით დაათვალიეროს პოტენციური ობიექტი და დააზუსტოს შესასრულებელი სამუშაოების ზომები მოცულობები.

6. მიწოდების პირობები და ვადები:

ა) შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **30 (ოცდაათი)** კალენდარულ დღეში.

ბ) მომსახურების მიწოდების ადგილია: ჭიათურა, სოფელ ნიგოზეთი, ს.ს.ი.პ. ვახტანგ ჯაოშვილის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტი სოფელ ნიგოზეთის საჯარო სკოლა

7. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

ა) ინფორმაცია კომპანიის რეკვიზიტების შესახებ, დანართი N1 შესაბამისად;

ბ) ფასების ცხრილი, დანართი N3 შესაბამისად - პრეტენდენტის მიერ ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით (ტენდერის სტატუსი - ,,წინადადების მიღება დაწყებულია" ეტაპზე) ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას;

გ) ინფორმაცია საგარანტიო ვადების შესახებ დანართი N2 (ჩატარებული სამონტაჟო სამუშაოებზე უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 4- წლიანი გარანტია, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრა) სატენდერო დოკუმენტაციის 5.3. და 5.4. პუნქტების გათვალისწინებით;

ე) **ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს 2014 წლის 1 იანვრიდან მოცემულ ტენდერში წინადადებების მიღების დასრულების დღემდე შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 40 000 ლარის ღირებულების სახის სამუშაოები. აღნიშნულის დასტურად, პრეტენდენტმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს საბოლოო ან შუალედური მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი**.

დ) სამუშაოების შესრულების გეგმა გრაფიკი'

პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების

(კონკრეტული პირობები დაზუსტდება სატენდერო წინადადების

შინაარსის გათვალისწინებით)

ქ. ჭიათურა --- ---------- 2016 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ვახტანგ ჯაოშვილის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოზეთის საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორის მერი პაპიძის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") და მეორე მხრივ ----------(მისამართი:----------) მისი დირექტორის ---------- სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"),სსიპ ვახტანგ ჯაოშვილის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოზეთის საჯარო სკოლის მიმდინარე შეკეთების შესყიდვის მიზნით ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გათვალისწინებით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

1.2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, სამუშაოების შესრულების მეთოდები და ხარჯთაღრიცხვა;

გ) სამუშაოების შესრულების ვადები;

გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.3. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ''(შემდგომში _ ,,ხელშეკრულება'') _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. ,,შემსყიდველი ორგანიზაცია,, (შემდგომში ,,შემსყიდველი'') ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.6. ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.7. ,,დღე'', ,,კვირა'', ,,თვე'' ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ ვახტანგ ჯაოშვილის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოზეთის საჯარო სკოლის მიმდინარე შეკეთების სახელმწიფო შესყიდვა(CPV-45400000);

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთმითითებული თარიღიდან ---------- ჩათვლით.

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: ---------- ლარს (დღგ-ს ჩათვლით).

4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5.2. საგარანტიო მომსახურების პირობები: შესრულებული სამუშაოს ნაკლოვანებები, რომლებიც წარმოიშვებიან მომხმარებლის ბრალეული მიზეზების გარეშე, უნდა აღმოიფხვრას კომპანიის მიერ უსასყიდლოდ. საგარანტიო მომსახურება უნდა განხორციელდეს ადგილზე. ნაკლოვანების გასწორება უნდა მოხდეს გამოვლენიდან არაუმეტეს 10 დღის განმავლობაში.

6. მომსახურების მიწოდების წესი და ადგილი

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია ჭიათურა, სოფელ ნიგოზეთი, სსიპ ვახტანგ ჯაოშვილის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოზეთის საჯარო სკოლა.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული სამუშაოების დასრულების ვადაა ზემოთმითითებული თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული სარემონტო სამუშაოები ხარისხიანად.

7.2. თუკი ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ჩატარებული სამუშაოები არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.4. შემსყიდველი ვალდებულია მომსახურების სრულყოფილად მიწოდების შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

8. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ჯამური (დამატებითი ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება.

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტზე მიუთითოს ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშ-ფაქტურა ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი.

8.3. შემსყიდველი საბოლოო ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის გაფორმების (მიღება-ჩაბარების აქტი ფორმა №2) და დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

8.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის გაცემამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით.

8.5. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ეტაპობრივად, ფორმა #2 და დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის (ან შესაბამისი ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი) წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში;

8.6. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და

ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს. საექსპერტო მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება ფაქტიურად გადახდილი თანხის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილების დანართი N1-ის 137-ე პუნქტით დადგენილი ტარიფის ზღვრული ოდენობისა. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების ინსპექტირება

9.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

9.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირ(ებ)ი არიან: ----------

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

10.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოები ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას, მას შემდეგ რაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა(ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა დოკუმენტი).

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

11.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია საქონლის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ)მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

12.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ამ მუხლში.

12.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით ან

ბ) განუსაზღვროს მომსახურების შესრულებისთვის დამატებითი ვადა არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების

ღირებულების 0,5% ოდენობით.

12.4. თუ კი მიმწოდებელი 12.3. „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს საქონლის მიწოდებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ის ოდენობით.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

14.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

14.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

14.5. ხელშეკრულების 14.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შემლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

16. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი რჩება შემსყიდველს, ერთი – შემსრულებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
_____	_____

დანართი N1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

საიდენტიფიკაციო კოდი:

დანართი N2

ინფორმაცია საგარანტიო ვადების შესახებ

(ჩატარებული სარემონტო სამუშაოებზე უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 4 - წლიანი გარანტია, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრა)